საქართველოს მთავრობის განკარგულება

N1679 2015 წლის 31 ივლისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მუსიკალურ ფესტივალში – „Global Gathering" თანამონაწილეობისა და მის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დაევალოს სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, უზრუნველყოს თანამონაწილეობა მუსიკალურ ფესტივალ „Global Gathering"-ის (შემდგომში – ფესტივალი) ორგანიზებაში 300,000 (სამასი ათასი) ლარის ფარგლებში.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ფესტივალის ფარგლებში შესასყიდი, დანართით გათვალისწინებული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა

განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული მომსახურებების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებითა და 21-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი

შესასყიდი მომსახურებები

- სარეკლამო კამპანიის ორგანიზების მომსახურება
- პროფესიონალური გახმოვანების აპარატურით მომსახურება
- სცენების მოწყობის მომსახურება
- სასცენო-საკონცერტო განათების და მინათების აპარატურით მომსახურება
- ლედ მონიტორებით და ლაზერებით მომსახურება
- ფეიერვერკებით და სპეცეფექტებით მომსახურება
- ჩერიპიკერით მომსახურება
- დეკორაციის მოწყობის მომსახურება
- მაგიდებით და სკამებით მომსახურება
- დიჯეის აღჭურვილობით მომსახურება